

შპს გენ

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული

საანგარიშგებო წლისათვის

სარჩევი:

ფინანსური ინფორმაცია:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	4
კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	5
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	6
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები.....	7
4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა	8
5. ძირითადი საშუალებები	10
6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი	11
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	11
8. ფული და ფულის ექვივალენტები	11
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12
10. ადმინისტრაციული ხარჯი	12
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	12
12. პირობითი ვალდებულებები	12
13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	13

შპს გენ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები:			
გრძელვადიანი აქტივები:			
ძირითადი საშუალებები	5	1,859,332	1,604,933
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,859,332	1,604,933
მოკლევადიანი აქტივები:			
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	6	907,433	931,827
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	605,756	638,648
საგადასახადო აქტივი		97,820	13,685
ფული და ფულის ექვივალენტები	8	5,441,442	4,031,856
სულ მიმდინარე აქტივები		7,052,451	5,616,017
სულ აქტივები		8,911,783	7,220,949
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები:			
საკუთარი კაპიტალი:			
გაუნაწილებელი მოგება		8,263,784	5,949,609
სულ საკუთარი კაპიტალი		8,263,784	5,949,609
მოკლევადიანი ვალდებულებები:			
მოგების გადასახადის ანარიცხი		341,273	380,292
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	306,726	891,048
სულ ვალდებულებები		647,999	1,271,340
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,911,783	7,220,949

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 31 მარტს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



მანანა საათაშვილი

შპს გენ

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან		10,347,433	12,316,670
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(7,446,477)	(9,465,642)
საერთო მოგება		2,900,955	2,851,028
საოპერაციო ხარჯი:			
მიწოდების ხარჯი		(33,622)	(29,127)
ადმინისტრაციული ხარჯი	10	(278,562)	(239,335)
საოპერაციო მოგება		2,588,771	2,582,567
არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი:			
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		(311,730)	(35,153)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, ნეტო		(1,886)	(12,136)
მოგება დაბეგვრამდე		2,275,156	2,535,278
მოგების გადასახადის კორექტირება/ (ხარჯი)		39,018	(380,292)
პერიოდის წმინდა მოგება		<u>2,314,174</u>	<u>2,154,986</u>

ფინანსური უწყისი ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებული და ავტორიზებულია 2023 წლის 31 მარტს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



მანანა
საათაშვილი

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს გენ

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	პერიოდის წმინდა მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	-	3,794,623	3,794,623
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება	-	2,154,986	2,154,986
31 დეკემბერი 2021	-	5,949,609	5,949,609
საწესდებო კაპიტალის ზრდა	-	-	-
პერიოდის წმინდა მოგება	-	2,314,174	2,314,174
31 დეკემბერი 2022	-	8,263,784	8,263,784

შპს გენ**ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება**

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

	2022	2021
მოგება დაბეგვრამდე	2,314,174	2,154,986
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:		
კორექტირება:		
ცვეთა	166,940	159,749
მოგების გადასახადის ანარიცხის კორექტირება	(39,018)	380,292
გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული (მოგება)/ზარალი	-	(728)
სამუშაო კაპიტალის ცვლილება:		
მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(51,281)	160,420
მარაგების (ზრდა)/შემცირება	24,394	68,559
ვალდებულებების ზრდა/(შემცირება)	(684,049)	392,069
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	(311,730)	
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(894,744)	1,160,361
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:		
გრძელვადიანი აქტივების შესყიდვის/გაყიდვის შედეგად მიღებული/(გადახდილი) ფული	(421,339)	(480,385)
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(421,339)	(480,385)
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები:		
გრძელვადიანი სესხის აღების/დაფარვის შედეგად მიღებული/(გადახდილი) ფული	-	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	-	-
სულ ფულისა და ფულის ექვივალენტების ზრდა	998,092	2,834,961
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულზე და ფულის ექვივალენტებზე	(411,494)	
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4,031,856	1,196,895
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	5,441,442	4,031,856

შპს გენ

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გენ (შემდეგში - კომპანია) დაარსდა 2017 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა არასპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობა და რეალიზაცია. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია 1 სასაწყობო ფართით. რეალიზაცია ხორციელდება როგორც საწყობიდან, ასევე მაღაზიებიდან. კომპანიის თანამშრომელთა რაოდენობა 2021 წელს ისევე როგორც 2022 წელს ექვს ადამიანს შეადგენს.

კომპანიის ყოველდღიური მართვა ხორციელდება დირექტორის მანანა საათაშვილის მიერ.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. გორი, გ.რობაქიძის ქ., №31

2021 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის წილის მფლობელია:

მანანა საათაშვილი: 100%

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური უწყისი მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს, როგორც ამას მოითხოვს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი. ფინანსური უწყისის არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური უწყისი წარდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური უწყისის მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-13 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური უწყისი მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური უწყისი მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ საქმიანობა საქართველოში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სააღრიცხვო მსჯელობები და გადაწყვეტილებები მიმოიხილება სისტემატიურად. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების შემთხვევაში, ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში როდესაც ეს ცვლილება მოხდა, თუ ცვლილება ეხება მიმდინარე და მომავალ პერიოდებს, მაშინ ცვლილება გავლენას მოახდენს მიმდინარე და მომავალ პერიოდებზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

გრძელვადიანი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს ორგანიზაცია აქტივიდან სარგებლის მიღებას.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები (წლები)
შენობა-ნაგებობები	15
მანქანა-დანადგარები	5
სამუშაო იარაღები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სატრანსპორტო საშუალებები	10

სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- სავალუტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად. დამატებითი ციფრობრივი მონაცემები აღნიშნულ რისკებთან დაკავშირებით წარმოდგენილია მოცემული ფინანსური უწყისის სხვადასხვა ნაწილში.

კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებისგანაც წარმოიშობა ფინანსური რისკები, წარმოდგენილია შემდეგნაირად: სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით. ფული და ფულის ეკვივალენტების, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, მათი მოკლევადიანი ბუნების გამო, შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის.

მენეჯმენტის საერთო მიზანია დანერგოს პოლიტიკა, რომელიც მიმართული იქნება რისკების შემცირებისკენ, იმგვარად რომ ზედმეტი ზემოქმედება არ მოახდინოს კომპანიის კონკურენტუნარიანობასა და მოქნილობაზე. შემდგომი დეტალები ამ პოლიტიკასთან დაკავშირებით განმარტებულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში. კომპანიას საკრედიტო რისკი ძირითადად წარმოეშება, როდესაც ხდება კრედიტით გაყიდვები. მენეჯმენტის მოსაზრებით, ფინანსური უწყისის შედგენის თარიღისთვის ფინანსური მოთხოვნები არ არის ვადაგადაცილებული

შპს გენ

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

4. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

მოთხოვნები, რომელიც საჭიროებს გაუფასურების ანარიცხების შექმნას.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის უწყისში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ნომინირებულია შემდეგ ვალუტებში:

	ლარი	ევრო	დოლარი	სულ
ფინანსური აქტივები				
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	572,347	-	-	572,347
ფული და ფულის ექვივალენტები	5,169,065	272,242	135	5,441,442
	5,741,411	272,242	135	6,013,789
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15,821	285,193	-	301,014
	15,821	285,193	-	301,014
ღია საბალანსო პოზიცია	5,725,590	(12,950)	135	

სავალუტო რისკის მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. წმინდა მოგებაზე და კაპიტალზე გავლენა დამყარებული აქტივების ღირებულებაზე:

	2022	
სავალუტო რისკის მგრძნობელობა	+20%	-20%
ევროს ეფექტი მოგება/(ზარალი)	(2,590)	2,590

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რათა მოხდეს სესხებისა და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის კომპანია ახორციელებს სისტემატიურ ზედამხედველობას მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, რომელიც წარმოადგენს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილს.

კაპიტალის მართვა

კომპანიის კაპიტალი მოიცავს დაგროვილ გაუნაწილებელ მოგება/ზარალს. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ პასუხისმგებელი არიან კაპიტალის შენარჩუნებაზე და ზრდაზე, ასევე მფლობელებისთვის ადეკვატური შემოსავლის მიღებაზე.

კაპიტალის მართვისას კომპანია მიზნად ისახავს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს დამფუძნებლისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს დამფუძნებლისთვის სარგებელი რისკის დონის თანაბარზომიერად მომსახურების შეფასებით.

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს გენ

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატ. საშუალება	დაუმთ. მშენებლობა	სულ
ისტორიული ღირებულება							
31.12.2020	790,412	219,179	7,398	6,514	364,835	161,655	1,549,993
შემენა	403,778	17,339	9,720	1,398	-	51,060	483,296
გასვლა	-	(2,593)	-	-	-	-	(2,593)
31.12.2021	<u>1,194,191</u>	<u>233,925</u>	<u>17,118</u>	<u>7,913</u>	<u>364,835</u>	<u>212,715</u>	<u>2,030,696</u>
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2020	(56,649)	(135,498)	(3,990)	(2,337)	(67,952)	-	(266,425)
ცვეთა	(73,873)	(44,908)	(3,002)	(1,483)	(36,484)	-	(159,749)
გასვლა	-	411	-	-	-	-	411
31.12.2021	<u>(130,522)</u>	<u>(179,994)</u>	<u>(6,992)</u>	<u>(3,820)</u>	<u>(104,435)</u>	-	<u>(425,763)</u>
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31.12.2020	733,764	83,681	3,408	4,177	296,884	161,655	1,283,568
31.12.2021	1,063,669	53,931	10,125	4,093	260,400	212,715	1,604,933
ისტორიული ღირებულება							
31.12.2021	1,194,191	233,925	17,118	7,913	364,835	212,715	2,030,696
შემენა	-	172,127	9,676	10,470	20,722	208,343	421,339
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31.12.2022	<u>1,194,191</u>	<u>406,052</u>	<u>26,794</u>	<u>18,383</u>	<u>385,557</u>	<u>421,058</u>	<u>2,452,034</u>
დაგროვილი ცვეთა							
31.12.2021	(130,522)	(179,994)	(6,992)	(3,820)	(104,435)	-	(425,763)
ცვეთა	(79,613)	(42,768)	(4,194)	(2,968)	(37,398)	-	(166,940)
გასვლა	-	-	-	-	-	-	-
31.12.2022	<u>(210,135)</u>	<u>(222,762)</u>	<u>(11,186)</u>	<u>(6,788)</u>	<u>(141,833)</u>	-	<u>(592,703)</u>
ნეტო საბალანსო ღირებულება							
31.12.2021	1,063,669	53,931	10,125	4,093	260,400	212,715	1,604,933
31.12.2022	984,056	183,290	15,608	11,595	243,724	421,058	1,859,332

შპს გენ

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგი

სასაქონლო-მატერიალური მარაგები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
საქონელი	899,801	926,603
საწვავი	7,632	5,224
	907,433	931,827

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური		
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი	572,347	635,240
სხვა მოთხოვნები რეზიდენტი	-	-
არაფინანსური		
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები რეზიდენტი	1,759	2,687
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები არარეზიდენტი	31,650	722
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	605,756	638,648

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო. ფინანსური აქტივების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

8. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფული სალაროში	14,288	783,186
ფული ბანკში, მიმდინარე ანგარიშებზე	5,427,154	3,248,671
	5,441,442	4,031,856

ფულის და ფულის ექვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

შპს გენ

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარში)

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2022	31.12.2021
ფინანსური		
სავაჭრო ვალდებულებები რეზიდენტი	15,821	12,534
სავაჭრო ვალდებულებები არარეზიდენტი	285,193	878,054
არაფინანსური		
მყიდველებისგან მიღებული ავანსები რეზიდენტი	5,712	460
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	306,726	891,048

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

10. ადმინისტრაციული ხარჯი

ადმინისტრაციული ხარჯები 2022 წლის პერიოდით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2022	2021
ძირითადი საშუალებების ცვეთა	166,940	159,749
შრომის ანაზღაურება	41,561	34,171
საკონსულტაციო ხარჯი	35,124	10,475
ქონების გადასახადის ხარჯი	14,145	14,451
საბანკო ხარჯი	10,468	9,223
კომუნალური ხარჯი	8,643	6,147
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	1,682	5,120
	278,562	239,335

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

არა-მაკორექტირებელი მოვლენები:

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არ მომხდარა მნიშვნელოვანი ცვლილებები, რაც საჭიროებს დამატებით ინფორმაციის გამჟღავნებას.

12. პირობითი ვალდებულებები

დაბეგვრის გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, ხელმძღვანელობის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ

12. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის გაზომვა საიმედოდ არის შესაძლებელი. სავარაუდო ვალდებულებაზე ანარიცხი არ აღიარდება, სანამ არ მოხდება შესაბამისი შეფასება. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, შეადგენს 1,239,568 ლარს, საიდანაც 2022 წლამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების შესაბამისი მოგების გადასახადი არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ უწყისში, ხოლო ვინაიდან კომპანიის შეფასებით მოგების განაწილება კომპანიისთვის მისი საქმიანობიდან გამომდინარე რელევანტური იქნება, რადგან კომპანიას აქვს საკმარისი მოცულობით თავისუფალი ფულადი სახსრები 2022 წლის მოგების გადასახადი წარმოდგენილია ფინანსურ უწყისში შეფასებითი ღირებულებით და შესაბამისად მოგების განაწილება გამოიწვევს მოგების გადასახადის დასაფარად საჭირო რესურსების გასვლას საწარმოდან.

13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

შესასრულებელი ვალდებულებები და შემოსავლის აღიარების დროულობა

კომპანიის შემოსავლები მოიცავს საწყობიდან და მაღაზიიდან მარაგების გაყიდვას. საწყობიდან მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მომხმარებლებზე კონტროლი გადადის მომხმარებლების მიერ საწყობსა და მაღაზიაში პროდუქციის ყიდვის მომენტში და შესაბამისად კომპანია შემოსავლებს აღიარებს დროის ამ მონაკვეთში.

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში და შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ შეფასება, მიუხედავად იმისა როდის მოხდება ანაზღაურება. შემოსავლის შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების საფუძველზე, ფასდათმობისა და გადასახადების გამოკლებით. მომხმარებლებს აქვთ უფლება რომ პროდუქცია დააბრუნონ ან ჩაანაცვლონ, თუმცა უკან დაბრუნებული პროდუქციის ხვედრითი წილი გაყიდულ მთლიან პროდუქციაში არამატერიალურია.

გარიგების ფასის განსაზღვრა

კომპანია შემოსავლებს იღებს ფიქსირებული ფასით. ფასები შესაძლოა შეიცვალოს პერიოდულად, თუმცა მომხმარებელმა თითოეულ პროდუქციაზე იცის ფასი ყიდვამდე. მომხმარებელი ფულს იხდის პროდუქციის შესყიდვის მომენტში. შესაბამისად კომპანია არ აკორექტირებს ამონაგებს ფულის დროითი ღირებულების გამო.

13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებებზე

კომპანია პროდუქციას ყიდის ფიქსირებული ფასებით თითოეულ პროდუქტზე, შესაბამისად კომპანია არ იყენებს მსჯელობას თითოეულ გასაყიდ პროდუქტზე ფასების განაწილებისას.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

კომპანია ფინანსურ აქტივებს აკლასიფიცირებს ერთ-ერთი კატეგორიის მიხედვით, რომლებიც ფასს 9-შია წარმოდგენილი. ფინანსური ინსტრუმენტების მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“, „რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“. კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი“.

ამორტიზებული ღირებულება

ფინანსური აქტივი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ის აქტივს ფლობს იმ ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად. ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღიარდება რეალურ ღირებულებას დამატებული გარიგების დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივების შეძენასთან და შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელსაც აკლდება გაუფასურების რეზერვი.

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფული და ფულის ეკვივალენტებს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე 3 თვემდე დაფარვის ვადით.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც ორი კატეგორია, იმის მიხედვით რა მიზნით ფლობს კომპანია ამა თუ იმ ვალდებულებას: რეალური ღირებულება მოგება ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსური ვალდებულებები. კომპანია არ ფლობს ფინანსურ ვალდებულებებს კლასიფიკაციას რეალური ღირებულებით მოგება ზარალში ასახვით.

სხვა ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიღებული სესხები, საიჯარო ვალდებულებები, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების გამოკლებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება

თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

ურთიერთგადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ერთმანეთში გადაიხურება და ფინანსურ ანგარიშგებებში წარდგება ნეტო თანხა, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი იურიდიული უფლება და სურვილი აღნიშნული არსებითი თანხების ურთიერთ გადახურვისთვის.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომი აღრიცხვა თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს ყველა შეძენის ხარჯსა და ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებას ან ზარალში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება კომპანიის სამუშაო ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობები აისახება მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ

07-16 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ინფორმაციის განუყოფელი ნაწილია.

შპს გენ

ფინანსური უწყისი

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

(ლარი)

13. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	ევრო / ლარი
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8844
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.5040

დაბეგვრა

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებს და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს ერთიანი სახაზინო კოდით. შედეგად კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივებსა და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე, როგორც საგადასახადო აქტივი ან ვალდებულება.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები აღიარებულია პროპორციულად შემოსავალთან ერთად. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დივიდენდები

დივიდენდების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც წარმოშობილია მათი გადახდის იურიდიული მოვალეობა.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური უწყისის ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსურ უწყისში. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.